სასტუმროს საშუალო ფასები საქართველოში და სასტუმროს ფასების ინდექსი

PMCG Research

ივნისი 2024

2024 წლის ივნისში, საქართველოში 3-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა[1] **183 ლარი** შეადგინა, ხოლო 4-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა **- 275 ლარი,** ხოლო საოჯახო ტიპის სასტუმროების[2] საშუალო ფასმა **126 ლარი** შეადგინა.

5-ვარსკვლავიან სასტუმროთა საშუალო ფასმა ივნისში **518 ლარი** შეადგინა. გურიაში ამ ტიპის სასტუმროებში, სტანდარტული 2-ადგილიანი ნომრის საშუალო ფასმა 757 ლარი შეადგინა, კახეთში - 641 ლარი, თბილისში - 597 ლარი, ხოლო აჭარაში - 524 ლარი.

3*, 4* და საოჯახო ტიპის სასტუმროთა საშუალო ფასები რეგიონების მიხედვით (2024 ივნისი, ლარი)



გრაფიკი 1: 3, 4 ვარსკვლავიანი და საოჯახო ტიპის სასტუმროებში სტანდარტული 2 ადგილიანი ნომრის საშუალო ფასები რეგიონების მიხედვით (5-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასები იხილეთ ტექსტში).

სასტუმროს ფასების ინდექსი

საქართველოში სასტუმროების ფასების ინდექსი[3] 2024 წლის ივნისში, 2024 წლის მაისთან შედარებით, 15.8%-ით გაიზარდა, მათ შორის 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი 16.0%-ით გაიზარდა, ხოლო საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასები 22.3%-ით გაიზარდა.

2024 წლის ივნისში, 2023 წლის ივნისთან შედარებით, სასტუმროების ფასების ინდექსი 1.2%-ით გაიზარდა, მათ შორის 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი 1.2%-ით გაიზარდა, ხოლო საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასები 3.8%-ით შემცირდა.

რეგიონი	სასტუმრო		3*, 4*, 5*		საოჯახო	
	2024 ივნ/ 2024 მაი	2024 ივნ/ 2023 ივნ	2024 ივნ/ 2024 მაი	2024 ივნ/ 2023 ივნ	2024 ივნ/ 2024 მაი	2024 ივნ/ 2023 ივნ
კახეთი	4.5%	3.1%	6.7%	3.2%	3.7%	3.2%
იმერეთი	3.5%	5.9%	1.2%	3.6%	5.4%	7.0%
გურია	48.1%	11.4%	48.1%	11.4%	-	-
ქვემო ქართლი	6.1%	0.0%	0.0%	0.0%	12.5%	-
აჭარა	36.5%	-2.5%	42.0%	-0.9%	31.2%	-15.5%
რაჭა	0.0%	0.0%	-	-	0.0%	0.0%
შიდა ქართლი	3.4%	-2.0%	11.8%	-6.3%	0.3%	4.8%
სამეგრელო-ზემო სვანეთი	7.7%	1.7%	13.5%	9.3%	4.6%	-3.1%
სამცხე-ჯავახეთი	10.9%	-0.5%	13.0%	-1.2%	9.2%	0.1%
მცხეთა-მთიანეთი	6.5%	2.4%	0.9%	0.4%	12.0%	5.0%
თბილისი	9.3%	2.1%	7.7%	2.1%	28.8%	3.3%
სულ ფასების % ცვლილება	**15.8%**	**1.2%**	**16.0%**	**1.2%**	**22.3%**	**-3.8%**

ცხრილი 1: ფასების % ცვლილება 2024 წლის ივნისში, 2024 წლის მაისის ფასებთან და 2023 წლის ივნისის ფასებთან შედარებით.

1 შედეგები მიღებულია საქართველოს 10 რეგიონში და თბილისში 3*, 4*, 5* და საოჯახო ტიპის სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების ფასებზე დაკვირვების შედეგად. სასტუმროების შერჩევა მოხდა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით. ანალიზი მოიცავს booking.com-ზე დარეგისტრირებულ, საქართველოს ტერიტორიაზე განთავსებულ 3*, 4*, 5* სასტუმროების 71%-ს (312 ობიექტი) და საოჯახო ტიპის სასტუმროების 25%-ს (456 ობიექტი). 3*, 4* და 5* სასტუმროების ფასებზე მონაცემების მიღება ხდება სასტუმროებთან დაკავშირების საფუძველზე, ხოლო საოჯახო სასტუმროების ფასებზე ინფორმაციის წყარო booking.com-ია. საშუალო ფასები გამოითვლება სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების დღიური განაკვეთების საშუალო არითმეტიკულის გამოანგარიშებით.
2 საოჯახო ტიპის სასტუმრო - სასტუმრო, რომლისთვისაც დამახასიათებელია ნომრების მცირე რაოდენობა და სადაც სტუმრებს მომსახურებას უწევს ოჯახი.
3 სასტუმროების ფასების ინდექსის გაანგარიშება მოხდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების მიხედვით. უმცირესი ერთობლიობის ინდექსი გამოთვლილია Jevons-ის ინდექსით.